ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 15 04 2015 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №02-02/199

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაგეგმვის შესახებ რექტორის 2014 წლის 20 ნოემბრის №02-02/444 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ცვლილება შევიდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაგეგმვის შესახებ ბრძანებაში და ბრძანების 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„2^1. სტუდენტები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში სწავლის საფასურის სრულად გადახდას, ვალდებულნი არიან 2015 წლის 23 თებერვლამდე მიმართონ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, შეავსონ ამ ბრძანებით დამტკიცებული განაცხადის ფორმა და მოითხოვონ სწავლის საფასურის ნაწილის გადახდის გადავადება 2015 წლის 15 აპრილამდე. 20 აპრილამდე თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება შუალედურ გამოცდაზე და შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი".

2. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს.

3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

4. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე